

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს **გადაწყვეტილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადის გაგრძელებისა და მანდატის დამატების შესახებ**

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო, ადასტურებს რა თავის ადრინდელ გადაწყვეტილებებს და ვალდებულებებს, რომლებიც ეხება აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგებას,

აღნიშნავს რა, რომ სამშვიდობო ძალების ყოფნა ხელს უწყობს კონფლიქტის ზონაში ვითარების სტაბილიზაციასა და ამ რაიონში სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების პირობების შექმნას,

**გადაწყვეტა:**

1. გაგრძელდეს, მხარეთა თანხმობით, კოლექტიური სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადა კონფლიქტის ზონაში აფხაზეთში, საქართველო (კსძ) 1997 წლის 31 იანვრამდე, ან იმ დრომდე, სანამ კონფლიქტის მონაწილე ერთერთი მხარე არ გამოთქვამს ოპერაციის შეწყვეტის სურვილს.

2. კოლექტიური სამშვიდობო ძალების მანდატს დაემატოს შემდეგი დებულებები:

გალის რაიონში (ძველ საზღვრებში) ლტოლვილთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობების შექმნის მიზნით ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეთა დაშორიშორების შესახებ 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულების მიხედვით დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალები თავისი ფუნქციების დამატებით, მხარეთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად და მათთან ურთიერთქმედებით ატარებენ ღონისძიებებს როგორც იქ მყოფი, ასევე გარედან შემოღწეული ტერორისტული, დივერსიული ფორმირებებისა და სხვა შეიარაღებული ჯგუფების მოქმედების აღსაკვეთად.

უზრუნველყოფენ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალის უსაფრთხოებას მათივე თხოვნის შემთხვევაში და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

3. დაევალოს თანამეგობრობის წევრი-სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს და თანამეგობრობის წევრი-სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრების საბჭოს გააგრძელონ მუშაობა მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად კსძ მანდატის დაზუსტებაზე კონფლიქტის ზონაში არსებული მდგომარეობის განვითარების გათვალისწინებით და თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 1996 წლის 19 იანვრისა და 1996 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

4. მოუწოდებს მხარეებს გაააქტიურონ ძალისხმევა, რათა კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებებზე, რუსეთის ფედერაციის შუამავლობით, მიღწეულ იქნას პრაქტიკული შედეგები.

წინამდებარე გადაწყვეტილება მიღებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს და მთავრობათა მეთაურების საბჭოს პროცედურული წესების მე \_ 20 წესის მე \_ 6 პუნქტით დადგენილი წესით.

შესრულებულია ქ. მოსკოვში **1996 წლის 17 ოქტომბერს**, დედნის ერთ ცალად, რუსულ ენაზე...

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის

სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ.ელცინი**.

[www.un.org/russian](http://www.un.org/russian); [Сборник документов по миротворческой деятельности, принятых в рамках Содружества Независимых Государств, 2 частях, Минск, 2001, гл. редактор Ю. Ф. Яров, гг.172-173. საკუთარი თარგმანი](#)